

ღია მმართველობის პარტნიორობის გავლენა საქართველოში ელექტრონული
მმართველობის გაძლიერებაზე

ღია მეცხვარიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა
და ხელოვნების ფაკულტეტზე საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი : მერაბ ლაბაძე, მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

აბსტრაქტი

დღესდღეობით მსოფლიოს მასშტაბით მიმდინარეობს საინფორმაციო და საკომუნიკაციო რევოლუცია. ინტერნეტი, პერსონალური კომპიუტერი და მობილური ტელეფონი ძირფესვიანად ცვლიან ჩვენს ცხოვრებას-ისინი გავლენას ახდენენ ჩვენი მუშაობის პროცესზე, სწავლაზე და ზოგადად, ურთიერთობებზე. სწორედ ამიტომ, გასაკვირი არაა, რომ პოლიტიკოსებსა და მენეჯერებს სურთ ელექტრონული მმართველობის შექმნა და ეს ეხება არა მხოლოდ განვითარებულ, არამედ ყველაზე ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებსაც. ყველა ქვეყნის მთავრობის მიერ აღიარებულია ის ღირებულებები, რაც ახასიათებს ელექტრონულ მმართველობას. სწორად შემუშავებულ და განხორციელებულ ელექტრონულ მმართველობას შეუძლია გააუმჯობესოს სახელმწიფო სერვისების მიწოდების ეფექტიანობა, გაამარტივოს სამთავრობო რეგულაციების შესრულება/დაცვა, გააძლიეროს მოქალაქეთა ჩართულობა და ნდობა მთავრობის მიმართ, აგრეთვე, დაზოგოს სხვადასხვა ხარჯები როგორც მოქალაქეთა და ბიზნესსუბიექტების, აგრეთვე თვით ხელისუფლების მიმართაც. საქართველოშიც, სხვა ქვეყნების მსგავსად ელექტრონული მმართველობა ნელ-ნელა ძლიერდება და სახელმწიფოს მართვის სერიოზული ბერკეტი ხდება. ამ მხრივ კი შეუძლებელია არ აღინიშნოს ღია მმართველობის პარტნიორობა, რომელიც საქართველოსთვის ელექტრონული მმართველობის განვითარების უმნიშვნელოვანესი საწყისია.

ნაშრომის მიზანია ახსნას, თუ რა გავლენა ჰქონდა საქართველოს ელექტრონული მმართველობის გაძლიერებაში ღია მმართველობის პარტნიორობას და აღნიშნულ ორგანიზაციაში საქართველოს გაწევრიანების შემდეგ როგორ განვითარდა მოქალაქეთა ჩართულობა სახელმწიფოს ელექტრონული მართვის პროცესებში. კვლევაში გაანალიზებულია ყველა ის მნიშვნელოვანი ვალდებულება, რაც საქართველომ შეასრულა ღია მმართველობის პარტნიორობის ფარგლებში და რამაც ქვეყნის ელექტრონულ მმართველობას ძლიერი საფუძველი შეუქმნა. სახელმწიფო გახდა

ბევრად უფრო გამჭვირვალე, ანგარიშვალდებული და მოქალაქეთა ჩართულობა სახელმწიფოს მართვაში საგრძნობლად გაიზარდა. სახელმწიფომ განავითარა მოქალაქეთათვის სერვისების მიწოდება: გახადა უფრო მოქნილი, მარტივი, ელექტრონული. შეიქმნა სპეციალური პორტალები, რომლებიც მოქალაქეთა საჭიროებებზეა მორგებული და საიდანაც მათ შეუძლიათ მოითხოვონ ინფორმაცია, გაეცნონ სიახლეებს, შექმნან ელექტრონული პეტიცია, ხმის მიცემით დააფიქსირონ საკუთარი აზრი და წვლილი შეიტანონ ქვეყნის მმართველობაში. კვლევა მოიცავს 2011 წლიდან დღევანდელ დღემდე პერიოდს, ვინაიდან, საქართველო სწორედ 2011 წელს, ერთ-ერთი პირველი, გაწევრიანდა ღია მმართველობის პარტნიორობაში.

Abstract

Nowadays information and communication revolution is taking place around the world. Internet, personal computers and mobile phones change our lives for the most part - they affect our work, study and relationships. Because of this, it's not surprise that politicians and managers want to design e-governance. The governments of all countries recognize the values of electronic governance. Properly implemented and fulfilled electronic governance can improve the efficiency of delivery of state services, simplify implementation/protection of government regulations, enhance citizens' participation and trust toward government and save various expenses both to citizens and business sector, as well as to government itself. In Georgia, e-governance, like other countries, has been steadily rising and becomes a serious lever for state governance. In this case, it's impossible not to mention the Open Government Partnership, which has been one of the most important priority for e-governance development.

The purpose of the paper is to explain how OGP influenced and strengthened e-governance in Georgia and how citizens' involvement in e-governance have changed after Georgia's membership in this organization. The study analyzes all the important commitments that Georgia has made in the framework of the OGP and has created a strong basis for the country's electronic management. The state become much more transparent, accountable and citizens' participation index increased. The study covers the period from 2011 (since Georgia was one of the first country to join the OGP in 2011) to the present day.